

პოლონურ-ქართული სავაჭრო სამრეწველო პალატის დებულება

თავი I ძირითადი დებულებები

§ 1

1. პოლონურ-ქართული სავაჭრო-სამრეწველო პალატა, შემდეგში მოხსენიებული როგორც „პალატა“, არის ეკონომიკური თვითმმართველი ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს მისი წევრების ეკონომიკურ ინტერესებს მათი საქმიანობიდან გამომდინარე.
2. პალატის სახელი ინგლისურ ენაზე უნდა იყოს: Polish-Georgian Chamber of Industry and Commerce.
და ქართულ ენაზე უნდა იყოს: პოლონურ-ქართული სავაჭრო სამრეწველო პალატა.
3. პალატას ასევე შეუძლია გამოიყენოს მისი შემოკლებული სახელი: **PGIPH**.
4. პალატა ახორციელებს თავის საქმიანობას ეკონომიკური პალატების შესახებ 1989 წლის, 30 მაისის კანონის (ანუ: 84-ე კანონების ჟურნალი, 710 პუნქტი შესწორებული) და ამ დებულების საფუძველზე.

§ 2

1. პალატის განთავსების ადგილი იქნება ქ. ვროცლავი.
2. პალატა ახორციელებს მის საქმიანობას პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მის საზღვრებს გარეთ.
3. პალატას შეუძლია გახდეს ადგილობრივი და უცხოური ორგანიზაციების დამფუძნებელი და წევრი.

§ 3

პალატა იძენს იურიდიული პირის სტატუსს ეკონომიკური პალატების რეესტრში მისი შეყვანის დღიდან.



§ 4

პალატამ უნდა გამოიყენოს საკუთარი ბეჭედი, შემდეგი წარწერებით:

- პოლონურად: POLSKO GRUZIŃSKA IZBA PRZEMYSŁOWO HANDLOWA
- ინგლისურად: Polish-Georgian Chamber of Industry and Commerce
- ქართულად: პოლონურ-ქართული სავაჭრო სამრეწველო პალატა.

§ 5

პალატას არ აქვს ზედამხედველობის უფლებამოსილება და არ შეიძლება, რომ მისმა ქმედებამ დაარღვიოს პალატის წევრების დამოუკიდებლობა ან ჩაერიოს მათ შიდა საქმიანობაში.

თავი II

პალატის მიზნები და მათი რეალიზაციის გზები

§ 6

პალატის მიზნებია:

- 1) პოლონეთის და საქართველოს რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა,
- 2) მისი წევრების დაცვა და წარმოდგენა, მათი ეკონომიკური საქმიანობიდან გამომდინარე, კერძოდ, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ადგილობრივი და უცხოური ორგანიზაციების მიმართ, მათი ეკონომიკური ინიციატივების მხარდაჭერა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებას,
- 3) კანონის მიერ, ეკონომიკური პალატებისთვის გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულება.

§ 7

1. წესდებით გათვალისწინებულ მიზნებს პალატა ახორციელებს:



- 1) პოლონეთის, საქართველოს და სხვა ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და სავაჭრო სააგენტოებთან, სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციასთან, სხვა ადგილობრივ და უცხოურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა,
- 2) პალატის წევრების აზრის წარმოდგენა, ეკონომიკური პოლიტიკის შექმნისა და ცვლილების შესახებ,
- 3) ადგილობრივ ხელისუფლებასა და სახელმწიფო ადმინისტრაციაში, საკონსულტაციო ორგანოებში წარმომადგენლების დელეგირება,
- 4) ეკონომიკური თანამშრომლობის წახალისება და განვითარება ადგილობრივ და უცხოურ ეკონომიკურ სუბიექტებთან, კვლევით ორგანიზაციებთან, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან და სხვა ორგანიზაციებთან,
- 5) შუამავლის როლის შესრულება, პალატის წევრების და მათი პოტენციური პარტნიორების ურთიერთობაში.
- 6) პალატის წევრთა ეკონომიკური აქტივობის მხარდამჭერი ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და გავრცელება, მათ შორის პოლონეთის და საქართველოს რესპუბლიკებში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია,
- 7) პოლონეთისა და საქართველოს რესპუბლიკებში გაყიდვების, მიწოდებისა და საინვესტიციო შესაძლებლობების იდენტიფიცირება, პალატის წევრების ეკონომიკური ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით, მოსაზრებების, ანალიზისა და ანგარიშების მომზადება,
- 8) საარბიტრაჟო სასამართლოს ორგანიზება, შუამდგომლობის ორგანიზება პალატის წევრთა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით,
- 9) კომიტეტების, კომისიების, ექსპერტთა ჯგუფებისა და სხვა კოლეგიური ორგანოების შექმნა, პრობლემის გადაჭრის მიზნით,
- 10) გამოფენებისა და ბაზრობების ორგანიზება და თანაორგანიზება, როგორც ადგილობრივის ასევე საზღვარგარეთ,
- 11) დიპლომების, სერთიფიკატების და სხვა დოკუმენტების გაცემა,
- 12) სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, ძირითად პრინციპებთან შესაბამისობაში,
- 13) ფინანსების მოპოვება, შეგროვება და გამოყენება, პალატის კანონიერი საქმიანობის ფარგლებში.



2. პალატას შეუძლია შექმნას მუდმივი ან დროებითი განყოფილებები, რომელთა მიზანია შესაბამისი საქმიანობის განხორციელება პალატის კანონიერი საქმიანობის ფარგლებში, კერძოდ ადგილობრივი განყოფილებები (ფილიალები), მმართველთა საბჭოს შეუძლია შექმნას სხვა საკონსულტაციო ორგანოები, რომლებიც მხარს უჭერენ პალატის კანონიერ მიზნებს.
3. პალატა არ ახორციელებს პოლიტიკურ საქმიანობას, ან მსოფლმხედველობასთან დაკავშირებულ საქმიანობას

თავი III

წევრები, მათი უფლებები და ვალდებულებები

§ 8

1. ნებისმიერ პირს/პირებს, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, არის იურიდიული ან ფიზიკური პირი, ან ისეთი პარტნიორობა რომელსაც არ გააჩნია იურიდიული ფორმა, აქვს განთავსების ან საცხოვრებელი ადგილი პოლონეთის რესპუბლიკაში, საქართველოში ან სხვა ქვეყანაში, შეუძლია გახდეს პალატის წევრი, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთს მაინც:
 - ისინი არიან კომპანიები ან ამხანაგოებები პოლონური ან ქართული კაპიტალით,
 - ისინი არიან პოლონური ან საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ მუდმივ სამეწარმეო საქმიანობას საქართველოს ან პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე,
 - აქვთ სხვა სახის ეკონომიკური ინტერესი საქართველოს ან პოლონეთის რესპუბლიკასთან დაკავშირებით, ან მათი წარმოშობის ადგილია საქართველოს ან პოლონეთის რესპუბლიკა.
2. გამონაკლის შემთხვევებში, მმართველ საბჭოს შეუძლია თავი შეიკავოს პირველ (1) პუნქტში განსაზღვრული პრინციპებისგან.
3. პალატის წევრები იყოფიან შემდეგ კატეგორიებად:
 - 1) ჩვეულებრივი წევრები,
 - 2) ინდივიდუალური წევრები, რომლებიც არიან ფიზიკური პირები და არ ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას.
 - 3) საპატიო წევრები.



4. იურიდიული პირები, მათი კანონიერი უფლებებით სარგებლობისას წარმოდგენილები არიან წარმომადგენელთა მიერ.
5. ფიზიკური პირები ახორციელებენ თავიანთ უფლებებსა და ვალდებულებებს პირადად ან შუამავლის მეშვეობით, ამავდროულად, შუამავალი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს ეს სტატუსი იურიდიულად.
6. პალატის წევრები, ან მათი წარმომადგენლები შეიძლება წარმოადგენდნენ სხვა წევრებს პალატის მუშაობის პროცესში, მხოლოდ მინდობილობის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს წარმომადგენლობის სფეროს.
7. პალატის დამფუძნებლები ხდებიან მისი წევრები პალატის რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
8. პალატის წევრის მიღების საკითხი ეფუძნება მმართველი საბჭოს მიერ მიღებულ განკარგულებას, ასეთი განკარგულების მიღების თარიღის მიხედვით. წევრთა განაცხადის ფორმა, თანამშრომლობის ხელშეკრულების სახით, წევრობის კატეგორიის მითითებით, უნდა წარედგინოს მმართველ საბჭოს პალატის მისამართზე, ან პალატის ელექტრონულ ფოსტაზე. განაცხადის განხილვა მოხდება მმართველი საბჭოს უახლოეს სხდომაზე.
9. თუ განმცხადებელი არ აკმაყოფილებს დებულებაში მითითებულ მოთხოვნებს, პალატის მმართველმა საბჭომ უნდა უთხრას უარი წევრობაზე და შეატყობინოს ამის შესახებ განმცხადებელს წერილობითი ფორმით, მათი უფლების მითითებით გაასაჩივრონ პალატის გადაწყვეტილება მმართველი საბჭოს საერთო კრებაზე, საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის ვადაში. აპელაცია განიხილება წევრების, უახლოეს საერთო კრებაზე და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის საბოლოო. თუ აპელაცია დაკმაყოფილდა, ახალი წევრის გაწევრიანების თარიღად ჩაითვლება საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების თარიღი.
10. პალატის მმართველ საბჭოს შეუძლია მიანიჭოს საპატიო წევრის სტატუსი ფიზიკურ პირს, განსაკუთრებით პირს, რომელსაც დიდი წვლილი აქვს შეტანილი პალატის საქმიანობაში. საპატიო წევრის სტატუსი შეიძლება ასევე მიენიჭოს საელჩოებს, საკონსულოებს, საჯარო და არაკომერციულ ორგანიზაციებს. საპატიო წევრის სტატუსის მინიჭება ხდება მმართველი საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის საფუძველზე.



§ 9

1. პალატის წევრები უფლებამოსილნი არიან:
 - 1) მისცენ ხმა ან იყარონ კენჭი პალატის ორგანოების არჩევნებში,
 - 2) ისარგებლონ პალატის მიერ მიწოდებული მომსახურებით და მიიღონ მონაწილეობა მისი საქმიანობის ყველა ფორმაში,
 - 3) წარადგინონ შუამდგომლობა პალატის საქმიანობასთან დაკავშირებით,
 - 4) მიიღონ მმონაწილეობა წევრთა საერთო შეხვედრებში და პალატის სხვა ორგანოების სხდომებში, რომელთა დროსაც განიხილება საკითხები, რომლებიც უშუალო კავშირშია მათთან,
 - 5) მონაწილეობა მიიღონ პალატის საქმიანობაში.
2. პალატის წევრებმა უნდა:
 - 1) დაიცვან პროფესიული ეთიკის პრინციპები და პატიოსანი ქცევის სტანდარტები მათ საქმიანობაში,--
 - 2) დაიცვან პალატის დებულების პირობები და ასევე მისი ორგანოების სხვა დადგენილებები,
 - 3) მონაწილეობა მიიღონ პალატის კანონიერი მიზნების შესრულებაში,
 - 4) გადაიხადონ საწევრო მოსაკრებელი რეგულარულად,
 - 5) იზრუნონ პალატის რეპუტაციაზე.
3. საპატიო წევრები სარგებლობენ პალატის წევრების ყველა უფლებით, გარდა ხმის მიცემის და პალატის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებისა, მათ უნდა შეასრულონ პალატის წევრის ყველა ვალდებულება, გარდა საწევრო მოსაკრებლის გადახდისა.

§ 10

1. საწევრო მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება წევრთა საერთო შეხვედრაზე, მმართველი საბჭოს მოთხოვნით. წევრთა საერთო შეხვედრას შეუძლია განსაზღვროს საწევრო მოსაკრებლის სხვადასხვა რაოდენობა, წევრობის კატეგორიის და წარმოების ზომის მიხედვით, რომელიც ეკუთვნის კონკრეტულ წევრს. საწევრო მოსაკრებლის ოდენობა დადგენილად ითვლება იმ რიცხვიდან, რომელიც მითითებულია წევრთა საერთო შეხვედრაზე მიღებულ რეზოლუციაში.



2. საწევრო მოსაკრებლის გადახდა ხდება წინასწარ, ერთჯერადად, ანგარიშდება პალატაში გაწევრიანების დღიდან, ზედნადების მიღებიდან და პალატაში გაწევრიანებიდან 30 დღის განმავლობაში. მომდევნო წლების მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს 30 დღის განმავლობაში, ერთი წლის საიუბილეო თარიღიდან („გაწევრიანების იუბილე“), თუ მმართველი საბჭო სხვაგვარად არ გადაწყვეტს.
3. „წევრობის იუბილემდე“ ერთი თვით ადრე, წევრობის შეწყვეტის მცდელობის განუხორციელებლობა, განიხილება როგორც თანხმობა პალატის წევრობის ვადის გაგრძელებაზე, შემდგომი 12 თვის მანძილზე; რაც უფლებას აძლევს პალატას გასცეს ზედნადები აღნიშნული პერიოდის მომსახურებისთვის და მოითხოვოს დავალიანების დაფარვა არსებული ზედნადების საფუძველზე.
4. პალატის წევრობა შეიძლება შეჩერდეს მოსაკრებლის გადაუხდელობის შემთხვევაში, ზედნადებში მითითებულ გადახდის პერიოდში, მისი გაცემიდან 2 თვის განმავლობაში, ყველაზე უგვიანეს. პალატის წევრთა უფლებების შეჩერება, ზემოაღნიშნული მიზეზებით, არ მოითხოვს რაიმე დამატებით ქმედებას პალატის ორგანოებისგან. ეჭვის შემთხვევაში, პალატის წევრის უფლებათა შეჩერება გულისხმობს პალატის დებულების მიხედვით მოქმედი ყველა უფლების შეჩერებას. პალატის წევრობის აღდგენა ხდება 7 სამუშაო დღის განმავლობაში, მას შემდეგ რაც საწევრო მოსაკრებელი შეტანილია პალატის საბანკო ანგარიშზე და არსებული დებულების პირობები დაცულია.

§ 11

1. პალატის წევრობის შეწყვეტა ხდება შემდეგი მიზეზებით:
 - 1) პალატის დატოვება – პალატის წევრის მიერ, წერილობითი ფორმით განსაზღვრულ დღეს, პალატის დატოვებისას გაგზავნილ რეგისტრირებულ წერილში, ან პალატის ოფციალურ ელექტრონულ მისამართზე გაგზავნილ ელექტრონულ წერილში, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ პალატისთვის გადასახდელი თანხა სრულადაა დაფარული.
 - 2) წევრთა სიიდან ამოღება გარდაცვალების გამო, ან წევრობისთვის სავალდებულო საწესდებო კვალიფიკაციის დაკარგვა, კერძოდ საქმიანობის შეწყვეტის ან ლიკვიდაციის მიზეზით.
 - 3) პალატიდან გარიცხვა, ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი მიზეზით:
 - წევრის მიერ დებულების მოთხოვნათა შეუსრულებლობა, მათ შორის საწევრო მოსაკრებლის გადახდის ვადების დარღვევა, რაც განსაზღვრულია § 10-ის, მე-2 ნაწილში.



- განაცხადის ფორმაში განსაზღვრული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა.
 - საქმიანობის განხორციელება, რომელიც ეწინააღმდეგება პალატის რეპუტაციას.
2. პალატის წევრის გარიცხვა ხდება მმართველი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. იმისათვის რომ რეზოლუცია მიღებულ იქნეს საჭიროა საბჭოს თავმჯდომარის თანამშრომლობა საბჭოს სხვა, მინიმუმ ერთ, წევრთან, კოლექტიური მართვის საბჭოს შემთხვევაში. საქმისწარმოების პროცესის დასრულებამდე და შესაბამისი დადგენილების მიღებამდე საბჭოს შეუძლია შეაჩეროს წევრის უფლებამოსილებები პალატაში, მე-2 წინადადებაში განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.
 3. წევრს, რომლის გასვლა ან გარიცხვა მოხდა პალატის წევრთა სიიდან, შეუძლია გაასაჩივროს პალატის გადაწყვეტილება საერთო კრებაზე, გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. გასვლა ან გარიცხვა არ ათავისუფლებს პალატის წევრს სრული წლის მოსაკრებლის გადახდისგან, რომელ პერიოდშიც მოხდა გასვლისა ან გარიცხვის გადაწყვეტილების მიღება.

თავი IV

პალატის ორგანოები

ძირითადი დებულებები

§ 12

პალატის ორგანოები არის:

1. წევრთა საერთო კრება,
2. პალატის მმართველი საბჭო (შემდგომში „მმართველი საბჭო“),
3. აუდიტის კომიტეტი.

წევრთა საერთო კრება

§ 13

1. წევრთა საერთო კრება არის პალატის უმაღლესი ორგანო.



2. წევრთა საერთო კრებას შეუძლია იმოქმედოს როგორც ჩვეულებრივ, ასევე რიგგარეშე შეხვედრაზე.

§ 14

1. წევრების ჩვეულებრივი, საერთო შეკრება იმართება ყოველწლიურად, მმართველი საბჭოს მიერ და ინიშნება ყოველი წლის პირველ კვარტალში.
2. მმართველმა საბჭომ უნდა შეატყობინოს ყველა წევრს თარიღი, ადგილი და საერთო კრების განრიგი, რეგისტრირებული წერილის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, საერთო კრების ჩატარებამდე არანაკლებ 21 დღით ადრე. ასეთი შეტყობინების გაგზავნა შეიძლება მოხდეს ელექტრონული ფოსტით, წევრის მიერ მითითებულ ისამართზე, თუ წევრმა წერილობითი ფორმით არ მოითხოვა შეტყობინების გაგზავნა რეგისტრირებული წერილის სახით. შეტყობინებას თან უნდა ერთვოდეს დოკუმენტები (დღის წესრიგის შესაბამისად) რომელთა განხილვაც მოხდება შეხვედრაზე, ან ინფორმაცია იმის შესახებ თუ როდის იქნება ასეთი ინფორმაცია ხელმისაწვდომი წევრებისთვის.

§ 15

1. წევრების რიგგარეშე, საერთო კრება ეწყობა უშუალოდ მმართველი საბჭოს ინიციატივით, ან პალატის წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით. წევრებმა, რომლებიც ითხოვენ წევრთა რიგგარეშე, საერთო კრების მოწვევას, უნდა განსაზღვრონ ის საკითხები, რომელთა განხილვაც მოხდება შეხვედრაზე. დებულების მე -14 მუხლის მე -2 პუნქტის შესაბამისად.
2. წევრთა რიგგარეშე, საერთო კრება ტარდება არაუგვიანეს 6 კვირის განმავლობაში მისი მოთხოვნის დღიდან.

§ 16

წევრთა საერთო კრების უფლებამოსილება მოიცავს შემდეგს:

- 1) სხდომის დღის წესრიგის დამტკიცება და წევრთა საერთო კრების განხილვის დებულების დამტკიცება,
- 2) პალატის საქმიანობის პროგრამების მიღება,
- 3) მენეჯმენტის საბჭოს წევრების დანიშვნა, როდესაც მოქმედი მმართველი საბჭოს უფლებამოსილება ამოიწურება, ან მმართველ საბჭოში ვაკანტური ადგილის შევსება უნდა მოხდეს, ასევე მმართველი საბჭოს წევრების თანამდებობიდან გათავისუფლება,



- 4) მმართველი საბჭოს საქმიანობის შესახებ ანგარიშების განხილვა, მმართველი საბჭოს მიერ წარდგენილ საკითხებზე რეზოლუციების მიღება, მმართველი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცება,
- 5) პალატის ფინანსური ანგარიშების დამტკიცება,
- 6) აუდიტის კომიტეტის წევრების დანიშვნა, როდესაც მოქმედი აუდიტის კომიტეტის უფლებამოსილება ამოიწურება, ან აუდიტის კომიტეტში ვაკანტური ადგილის შევსება უნდა მოხდეს, ასევე აუდიტის კომიტეტის წევრების თანამდებობიდან გათავისუფლება,
- 7) მმართველ საბჭოში ხმის უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღება,
- 8) მმართველი საბჭოს მიერ, წევრების სიიდან ამოღების, პალატიდან გარიცხვის ან წევრობაზე უარის პასუხის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებზე შემოსული აპელაციების განხილვა,
- 9) მმართველი საბჭოს წევრების უფლებამოსილების შეჩერება,
- 10) მმართველი საბჭოს წარმომადგენლის დანიშვნა § 19 პუნქტის, მე-7 ნაწილის, მე-2 წინადადებაში აღწერილ გარემოებებში,
- 11) დებულების მიღება და მისი შესწორება,
- 12) პალატის საქმიანობის განმსაზღვრელი, ორგანიზაციული სტრუქტურის და და სხვა წესების დამტკიცება, ასევე მასში ცვლილებების შეტანა,
- 13) მმართველი საბჭოს მოთხოვნით კენჭისყრა პალატის ბიუჯეტის შესახებ, კალენდარული წლის განმავლობაში,
- 14) პალატის დაშლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება,
- 15) სალიკვიდაციო კომიტეტის დანისვნა,
- 16) პალატის დაშლის შემთხვევაში, მისი ქონების დეტალური განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება,
- 17) პალატის ხარჯების დაფარვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომლებიც აღემატება შემოსავალს,
- 18) პალატის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება,
- 19) მმართველი საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე საწევრო შენატანის ოდენობის განსაზღვრა,
- 20) გადაწყვეტილების მიღება სხვა საკითხებთან დაკავშირებით, საერთო კრების უფლებამოსილების ფარგლებში, მოქმედი დებულების შესაბამისად.



§ 17

1. აქციონერთა ჩვეულებრივი და რიგგარეშე საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დღის წესრიგში შეტანილი საკითხების შესახებ, მიუხედავად პალატის წევრთა რაოდენობისა, ან მათი წარმომადგენლებისა.
2. იმ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, რომლებიც არ არის შესული დღის წესრიგში, შეიძლება მოხდეს საერთო კრებაზე, რომელსაც ესწრება პალატის ყველა წევრი ან მათი წარმომადგენლები, და ისინი ერთხმად თანხმდებიან დღისწესრიგის შეცვლაზე.
3. საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა უმრავლესობით. 2/3 ხმათა საკვალიფიკაციო უმრავლესობის გამოყენება ხდება წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებების მიმართ, გამომდინარე კომპეტენციის სფეროდან, რაც განსაზღვრულია § 16-ში, პუნქტი 3,6,10,11 და 14.

პალატის მმართველი საბჭო

§ 18

მმართველთა საბჭო არის პალატის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს მის საქმიანობას.

§ 19

1. მმართველთა საბჭო შეიძლება შედგებოდეს ერთი პიროვნებისგან, ან იყოს კოლექტიური, მაგრამ წევრების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3 პირს.
2. პირველ მმართველთა საბჭოში შევლენ:
 - სტანისლავ რაჟნიევსკი - მმართველი საბჭოს პრეზიდენტი,
 - მარცინ რუტოვიჩი - მმართველი საბჭოს წევრი, მოქმედი როგორც მმართველი საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი.
3. პირები, დასახელებულები მე-2 განყოფილებაში დაიკავებენ მათ თანამდებობას პალატის რეგისტრაციის დრიდან.
4. მმართველი საბჭოს უფლებამოსილების ვადა 5 წელია. ყოველი მმართველთა საბჭოს უფლებამოსილების ვადა, რომელიც განისაზღვრება მე-2 განყოფილების შესაბამისად, იწყება იმ დღიდან, რომელიც მითითებული იქნება მმართველთა საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე მიღებულ დადგენილებაში, რიგითი საერთო კრების მიერ. წინა წევრების უფლებამოსილების ვადა იჭურება იმ დღეს, რომელიც წინ უსწრებს იმ



თარიღს, რომელიც მითითებულია მე-2 წინადადებაში აღნიშნულ გადაწყვეტილებაში.

5. თუ მმართველი საბჭოს ერთ-ერთი წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა მოხდა შემდეგი მიზეზებით - გარდაცვალება, განთავისუფლება, პალატის წევრობის შეწყვეტა, პალატის წევრების წარმომადგენლობის უფლების ვადის ამოწურვა, გადაყენება წევრთა საერთო კრების მიერ, ან სხვა მიზეზით, მას შეცვლის პირი, რომლის არჩევაც მოხდება წევრთა უახლოეს საერთო კრებაზე, თუ ასეთი არჩევნების მოთხოვნა წარდგენილია მმართველი საბჭოს მიერ.
6. მმართველი საბჭოს ყველა წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, წევრთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილება, რათა მოხდეს ახალი მმართველი საბჭოს არჩევა, ენიჭება პალატის თითოეულ წევრს პალატის კანცელარიის მეშვეობით.
7. თუ მმართველი საბჭოს პრეზიდენტი, მისი უფლებამოსილების ვადაში, კარგავს აღნიშნული თანამდებობის მანდატს მე-5 ნაწილში განსაზღვრული მიზეზებით, მმართველმა საბჭომ უნდა დანიშნოს ახალი პრეზიდენტი, რომელიც დაიკავებს ამ თანამდებობას მიმდინარე ვადის გასვლამდე. თუ მმართველი საბჭოს მიერ ვერ ხერხდება გადაწყვეტილების ერთხმად მიღება, საბჭო იწვევს წევრთა საერთო კრებას არაუგვიანეს 2 თვისა, ბოლო პრეზიდენტის მიერ მანდატის დაკარგვიდან, რათა აირჩიონ ახალი პრეზიდენტი მმართველი საბჭოს არსებული წევრებიდან.

§ 20

1. მმართველი საბჭოს სხდომები იმართება მინიმუმ ერთხელ თვეში, ამასთანავე სხდომის მოწვევა შეიძლება მოხდეს ნებისმიერ დროს, თუ ამას ითხოვს პალატის საჭიროებები.
2. მმართველი საბჭოს სხდომებს მართავს და ხელმძღვანელობს საბჭოს პრეზიდენტი.
3. მმართველი საბჭოს გადაწყვეტილება ითვლება ნამდვილად, თუ გადაწყვეტილება მიღებულია ხმათა უმრავლესობით, ამასთან პროცესს ესწრებოდა არსებული წევრების მინიმუმ ნახევარი. თუ ხმების რაოდენობა თანაბარია გამამწყვეტი ხმის უფლება ენიჭება საბჭოს პრეზიდენტს, მისი არყოფნის შემთხვევაში ეს უფლება გადადის ვიცე-პრეზიდენტზე. საბჭოს შეუძლია გადაწყვეტილების მიღება წერილობით, ან ელექტრონული ფოსტით, თუ საბჭოს ყველა წევრი ინფორმირებული იყო მისაღები გადაწყვეტილების და მისი შინაარსის შესახებ, როგორც მინიმუმ 7 დღით

ადრე.



4. სხვა პირები, რომლებიც არ არიან მმართველი გუნდის წევრები, შეიძლება მიწვეულნი იყვნენ სხდომაზე ხმის მიცემის უფლების გარეშე.
5. მმართველმა საბჭომ უნდა აცნობოს პალატის წევრს სხდომის თარიღი, რომელზეც განიხილება მასთან დაკავშირებული საკითხები.

§ 21

მმართველი საბჭოს უფლებამოსილებები მოიცავს:

- 1) წევრთა საერთო კრების რეზოლუციების შესრულება,
- 2) პალატის წევრების მიღება, უარყოფა ან გარიცხვა,
- 3) პალატის მიმდინარე საქმეების მართვა,
- 4) პალატას წარმოდგენა მის გარე კონტაქტებში,
- 5) პირის განთავისუფლება და დანიშვნა პალატის აპარატის დირექტორის თანამდებობაზე; აპარატის საქმიანობის ზედამხედველობა ხორციელდება მმართველი საბჭოს თავმჯდომარის მიერ,
- 6) პალატის საქმიანობასთან დაკავშირებული საჩივრებისა და მოთხოვნების განხილვა,
- 7) §7, მე -2 პუნქტში მოხსენიებული სექციებისა და ფილიალების შექმნის, საქმიანობის შეჩერებისა და გაუქმების შესახებ რეზოლუციების მიღება და მათი საქმიანობის ზედამხედველობა,
- 8) დებულების §2, მე -3 ნაწილის მე -3 პუნქტში მითითებული ორგანიზაციების შექმნის შესახებ რეზოლუციების მიღება ან მათთან შეერთება,
- 9) პალატის საქმიანობის დაფინანსების პრინციპების განსაზღვრა, მიზნობრივი ფონდების შექმნა და მათი მათი საქმიანობის რეგულაცია,
- 10) პალატის ბიუჯეტის პროექტების მომზადება, მათი წარდგენა წევრთა საერთო კრებაზე, ასევე ცვლილებების შეტანა ფინანსური წლის მანძილზე, პალატის საჭიროებებიდან გამომდინარე,
- 11) მოთხოვნის წარდგენა § 19, მე-5 ნაწილის შესაბამისად,
- 12) მოთხოვნის წარდგენა § 16, მე-19 ნაწილის შესაბამისად,
- 13) დებულებაში მმართველი საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვრული ყველა საკითხთან დაკავშირებით რეზოლუციების მიღება, ან იმ საკითხების განხილვა რომლებიც არ შედის საერთო კრების წევრების კომპეტენციაში.



აუდიტის კომიტეტი

§ 22

აუდიტის კომიტეტი არის პალატის სამეთვალყურეო ორგანო.

§ 23

1. აუდიტის კომიტეტი უნდა შედგებოდეს --- პირისგან.
2. აუდიტის პირველ კომიტეტში უნდა შევიდნენ:
 - ზბიგნიევ კოპციოვსკი - აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე,
 - კშიშტოფ სტრჟელბიცი - აუდიტის კომიტეტის წევრი, მოქმედი როგორც კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე,
 - რევაზ ცირეკიძე – აუდიტის კომიტეტის წევრი,
3. მე-2 პუნქტში მოხსენიებული პირები დაიკავებენ თავიანთ თანამდებობებს პალატის რეგისტრაციის დღეს.
4. აუდიტის კომიტეტის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი. ყოველი აუდიტის კომიტეტის, გარდა მე-2 პუნქტში მოხსენიებული აუდიტის კომიტეტისა, უფლებამოსილების ვადად განისაზღვრება თარიღი, რომელიც მითითებულია საერთო კრების წევრების მიერ აუდიტის კომიტეტის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ მიღებულ დადგენილებაში.
5. აუდიტის კომიტეტის შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ კომიტეტის წევრები ირჩევენ, არსებული წევრებიდან, კომიტეტის თავმჯდომარესა და ვიცე-თავმჯდომარეს.
6. თუ აუდიტის კომიტეტის ერთ-ერთი წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა მოხდა შემდეგი მიზეზებით - გარდაცვალება, განთავისუფლება, პალატის წევრობის შეწყვეტა, პალატის წევრების წარმომადგენლობის უფლების ვადის ამოწურვა, გადაყენება წევრთა საერთო კრების მიერ, ან სხვა მიზეზით, მას შეცვლის პირი, რომლის არჩევაც მოხდება წევრთა უახლოეს საერთო კრებაზე.
7. აუდიტის კომიტეტის ყველა წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, წევრთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილება, რათა მოხდეს ახალი მმართველი საბჭოს არჩევა, ენიჭება მმართველ საბჭოს და პალატის თითოეულ წევრს პალატის ოფისის მეშვეობით.



8. თუ აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე, მისი უფლებამოსილების ვადაში, კარგავს აღნიშნული თანამდებობის მანდატს მე-6 ნაწილში განსაზღვრული მიზეზებით, აუდიტის კომიტეტმა უნდა დანიშნოს ახალი თავმჯდომარე არსებული წევრებიდან, რომელიც დაიკავებს ამ თანამდებობას მიმდინარე ვადის გასვლამდე. ვიცე-თავმჯდომარე დაიკავებს თავმჯდომარის თანამდებობას იქამდე სანამ არ მოხდება აუდიტის კომიტეტის ახალი თავმჯდომარის არჩევა.

§ 24

1. აუდიტის კომიტეტის სხდომები გაიმართება მაშინ როდესაც ამას მოითხოვს პალატის საჭიროებები.
2. აუდიტის კომიტეტის სხდომებს მართავს და ხელმძღვანელობს აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე.
3. აუდიტის კომიტეტის გადაწყვეტილება ითვლება ნამდვილად, თუ გადაწყვეტილება მიღებულია ხმათა უმრავლესობით, ამასთან პროცესს ესწრებოდა არსებული წევრების მინიმუმ ნახევარი. თუ ხმების რაოდენობა თანაბარია გადამწყვეტი ხმის უფლება ენიჭება კომიტეტის თავმჯდომარეს, მისი არყოფნის შემთხვევაში ეს უფლება გადადის თავმჯდომარეზე. კომიტეტს შეუძლია გადაწყვეტილების მიღება წერილობით, ან ელექტრონული ფოსტით, თუ კომიტეტის ყველა წევრი ინფორმირებული იყო მისაღები გადაწყვეტილების და მისი შინაარსის შესახებ, როგორც მინიმუმ 7 დღით ადრე.

§ 25

აუდიტის კომიტეტის უფლებამოსილებები მოიცავს:

- 1) ახორციელებს პალატის საქმიანობის მიმდინარე და ყოველწლიურ კონტროლს ზოგადად, განსაკუთრებით მის ფინანსურ საქმიანობაზე,
- 2) საბუღალტრო დოკუმენტაციის შემოწმება და ხარჯების შესაბამისობის დადგენა პალატის ბიუჯეტთან,
- 3) დასკვნებისა და შენიშვნების წარდგენა პალატის საერთო კრებაზე, პალატის მიმდინარე საქმიანობის შესახებ,
- 4) წარადგენს მოხსენებას საკუთარი საქმიანობის შესახებ, ასევე მმართველ საბჭოში მიღების მოთხოვნებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, წევრთა საერთო კრებაზე,



- 5) აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარის და ვიცე-თავმჯდომარის არჩევნები, კომიტეტის არსებული წევრებიდან,
- 6) აუდიტის კომიტეტის კომპეტენციაში შემავალი ყველა საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება.

თავი V
პალატის აპარატი

§ 26

1. პალატის საწესდებო მიზნების ფარგლებში, ადმინისტრაციულ მომსახურებას უზრუნველყოფს პალატის აპარატი.
2. დირექტორი ხელმძღვანელობს აპარატის საქმიანობას. დირექტორი ვერ იქნება პალატის წევრი ან არსებული წევრის წარმომადგენელი.
3. დირექტორი ანგარიშვალდებულია უშუალოდ მმართველი საბჭოს პრეზიდენტის წინაშე.

§ 27

პალატის აპარატი უზრუნველყოფს, პალატის ყველა ნორმატიულ ორგანოთა, შეხვედრების ტექნიკურ მომსახურებას.

თავი IV
პალატის აქტივები, სამეწარმეო საქმიანობა, პასუხისმგებლობა

§ 28

1. პალატის აქტივებს წარმოადგენს მოაძრავი ქონება, უძრავი ქონება, ფინანსები, საკუთრების უფლება და პალატიდან მირებული შემოსავალი.
2. პალატის შემოსავალი მოიცავს:
 - 1) შემოსავალი საწევრო შენატანებიდან,
 - 2) შემოსავლები საკუთარი სამეწარმეო საქმიანობიდან,
 - 3) შემოსავლები პალატის აქტივებიდან,
 - 4) სუბსიდიები, შემოწირულობა, მემკვიდრეობა ან ანდერძი პირებისგან ან დაწესებულებებისგან.



3. პალატას შეუძლია შექმნას შემდეგი სახის ფონდები:
 - 1) საწესდებო ფონდი,
 - 2) სხვა მიზნობრივი ფონდები, ფინანსური საქმიანობის ნორმატიული აქტების და პალატის ორგანოების დადგენილებების საფუძველზე.
4. პალატის საქმიანობის ხარჯები უნდ ადაიფაროს მე-2 პუნქტში განსაზღვრული სახსრებით.
5. შემოსავლები მიღებული პალატის სამეწარმეო საქმიანობიდან უნდა მოხმარდეს პალატის კანონიერი მიზნების განხორციელებას და არ შეიძლება მოხდეს წევრებს შორის განაწილება.
6. პალატის ფინანსურ წლად ჩაითვლება კალენდარული წელი.
7. პალატის წევრებს არ უნდა ჰქონდეთ უფლებები პალატის აქტივებზე.
8. პალატას შეუძლია აწარმოოს საკუთარი სამეწარმეო საქმიანობა შემდეგ სფეროებში:
 - 1) 68.10.Z საკუთარი უძრავი ქონების შეძენა და გაყიდვა,
 - 2) 68.20.Z საკუთარი ან დაქირავებული უძრავი ქონების დაქირავება და ექსპლუატაცია,
 - 3) 68.31.Z უძრავი ქონების სააგენტოები,
 - 4) 68.32.Z უძრავი ქონების მართვა საფასურის ან ხელშეკრულების საფუძველზე,
 - 5) 63.99.Z სხვა სახის საქმიანობები საინფორმაციო მომსახურების სფეროში, რომლებიც არ არიან სხვაგან კლასიფიცირებული,
 - 6) 66.11.Z ფინანსური ბაზრების ადმინისტრირება,
 - 7) 66.19.Z ფინანსური მომსახურების სხვა, დამხმარე საქმიანობები გარდა დაზღვევისა და საპენსიო ფონდებისა,
 - 8) 66.21.Z რისკებისა და დანაკარგების შეფასება,
 - 9) 66.29.Z დაზღვევისა და საპენსიო ფონდების დამხმარე საქმიანობები
 - 10) 66.30.Z ფონდების მართვი საქმიანობა,
 - 11) 70.21.Z საზოგადოებასთან ურთიერთობა და საკომუნიკაციო საქმიანობა,
 - 12) 70.22.Z საკონსულტაციო საქმიანობა ბიზნესსა და მართვაში,
 - 13) 72.19.Z კვლევები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ინჟინერიის ექსპერიმენტული განვითარება,
 - 14) 74.10.Z სპეციალიზირებული საქმიანობა დიზაინზე,
 - 15) 58.11.Z წიგნების გამოცემა,
 - 16) 58.14.Z ჟურნალებისა და პერიოდული გამოცემების გამოცემა,



- 17) 58.19.Z სხვა საგამომცემლო საქმიანობები,
- 18) 58.29.Z პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების გამომცემლობა,
- 19) 62.01.Z საქმიანობა კომპიუტერული პროგრამირების სფეროში,
- 20) 62.02.Z საქმიანობა კომპიუტერული კონსულტაციის სფეროში,
- 21) 62.03.Z საქმიანობა კომპიუტერული დანადგარების მართვის სფეროში,
- 22) 62.09.Z საქმიანობა კომპიუტერული სერვისებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში,
- 23) 63.11.Z მონაცემთა დამუშავებასთან და განთავსებასთან დაკავშირებული საქმიანობა,
- 24) 63.12.Z ვებ-პორტალები
- 25) 63.91.Z საინფორმაციო სააგენტოს სფეროში საქმიანობა,,
- 26) 71.11.Z არქიტექტურულ სფეროში საქმიანობა,
- 27) 71.12.Z საინჟინრო საქმიანობა და მასთან დაკავშირებული ტექნიკური კონსულტაცია,
- 28) 72.11.Z ბიოტექნოლოგიის კვლევა და ექსპერიმენტული განვითარება,
- 29) 72.20.Z სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ექსპერიმენტული განვითარება და კვლევები,
- 30) 73.11.Z სარეკლამო სააგენტოების საქმიანობა,
- 31) 73.12.A საშუამავლო საქმიანობა სარეკლამო დროისა და ადგილის გაყიდვა, მიმართული რადიოსა და ტელევიზიაზე,
- 32) 73.12.B საშუამავლო საქმიანობა სარეკლამო ადგილის გაყიდვაში, მიმართული ბეჭდურ მედიაზე,
- 33) 73.12.C საშუამავლო საქმიანობა სარეკლამო ადგილის გაყიდვაში, მიმართული ელექტრონულ მედიაზე (ინტერნეტი),
- 34) 73.12.D საშუამავლო საქმიანობა სარეკლამო ადგილის გაყიდვაში, მიმართული სხვა სახის მედიაზე,
- 35) 73.20.Z ბაზრის კვლევა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა,
- 36) 74.20.Z ფოტოგრაფიული საქმიანობა,
- 37) 74.30.Z თარგმანი და საინტერპრეტაციო საქმიანობა,
- 38) 74.90.Z სხვა პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობას, რომელიც არ არის სხვაგან კლასიფიცირებული,
- 39) 77.40.Z ინტელექტუალური საკუთრებისა და მსგავსი პროდუქციის ლიზინგი, გარდა საავტორო უფლებებისა,
- 40) 82.11.Z ოფისის ადმინისტრაციული მომსახურების საქმიანობა,
- 41) 82.19.Z ქსეროკოპირება დოკუმენტების მომზადება და სხვა სპეციალიზებული საოფისე საქმიანობა,



- 42) 86.90.E სხვა სახის საქმიანობა ჯანდაცვის სფეროში, რომელიც არ არის სხვაგან კლასიფიცირებული,
 - 43) 90.03.Z სამხატვრო და ლიტერატურული საქმიანობა,
9. პალატა პასუხს აგებს დაკისრებულ პასუხისმგებლობებზე მხოლოდ მისი აქტივების ღირებულებით.

თავი VII წარმომადგენლობა

§ 29

შემდეგი პირები უფლებამოსილი არიან გააკეთონ განცხადებები და ხელი მოაწერონ დოკუმენტაციას პალატის სახელით, მისი უფლებებისა და ქონებრივი პასუხისმგებლობების ჩათვლით:

- 1) დამოუკიდებლად მოქმედი, მმართველი საბჭოს პრეზიდენტი,
- 2) მმართველი საბჭოს, ერთობლივად მოქმედი, ორი წევრი,
- 3) მინდობილი პირები, რომლებიც მოქმედებენ მინდობილობის ფარგლებში, რომელიც განსაზღვრულია პირველ პუნქტში აღნიშნული პირების მიერ.

თავი VIII დებულების ცვლილება, პალატის დაშლა და ლიკვიდაცია

§ 30

1. დებულებაში ცვლილების შეტანა და პალატის დაშლა შეიძლება მოხდეს წევრების საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.
2. საერთო კრება განსაზღვრავს სალიკვიდაციო კომიტეტს, რომელიც განახორციელებს ლიკვიდაციას. მმართველი საბჭოს წევრებს შეუძლიათ იყვნენ კომიტეტის წევრები.
3. სალიკვიდაციო კომიტეტი ახორციელებს პალატის დებიტორული დავალიანების დაფარვას წევრთა საერთო კრების მიერ მიღებული რეზოლუციის შესაბამისად.
4. პალატის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი აქტივების ასიგნაცია უნდა განისაზღვროს პალატის წევრთა საერთო კრების მიერ.



5. მას შემდეგ რაც სალიკვიდაციო კომიტეტი დაამთავრებს პალატის ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ საქმიანობას, აკეთებს განაცხადს სასამართლოში პალატის რეესტრიდან წაშლის შესახებ.

თავი IX
დასკვნითი დებულებები

§ 31

ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ არის წესდებით გათვალისწინებული, ექვემდებარება 1989 წლის 30 მაისის კანონს ეკონომიკის პალატების შესახებ და სხვა შესაბამის დებულებებს.

